



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000085806097317

№ ს-757

06 / დეკემბერი / 2017 წ.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მიმღები კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი პუნქტის და 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:**

1. შეიქმნას მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოების მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე - მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გივი გიუტაშვილი;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ფოლოდაშვილი;

გ) კომისიის წევრები:

გ.ა) ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - თეიმურაზ ჯერვალიძე;

გ.ბ) ზედამხედველობის სამსახურის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მერაბ თუხარელი;

გ.გ) სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - რევაზ ელოშვილი;

გ.დ) ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ზურაბ მარსაგიშვილი;

გ.ე) მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი (მაჟორიტარი დეპუტატი) - ბექა ხალიბეგაშვილი;

გ.ვ) მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის, იურიდიული განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ანა მამაგვიშვილი;

გ.ზ) კომისიის მდივანი -მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ცირა ფხოველიშვილი.კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის სხდომის ოქმის წარმოებას (მდივანი მონაწილეობას იღებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის უფლებით).

2.კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი იმ ადმინისტრაციული ერთეულიდან, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვით განხორციელებული ობიექტის მიღება (მერიის წარმომადგენელი მონაწილეობას იღებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის უფლებით).

3. წყალსადენის სისტემის მიღებისას კომისიის სხდომაში მონაწილეობას იღებს შპს „მცხეთის სოფწყალის“ მთავარი ინჟინერი - თეიმურაზ ოსიშვილი (მონაწილეობას იღებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხმის უფლებით).

4. ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, კომისიამ უზრუნველყოფს დასრულებული სამუშაოების მიღება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად.

5. სხდომა გადაწყვეტილებისუნარიანია, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

6.კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

7.დაევალოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს ნინო ჩინაშვილს ბრძანების კომისიის წევრებისათვის გაცნობა.

8. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი



გიორგი კაპანაძე